

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #50

ქ. თბილისი

2024 წელი, 14 ივნისი, 13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ზურაბ აბაშიძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, ოთარ გრიგოლია, გივი ჩხარტიშვილი, კონსტანტინე ზარნაძე,

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: მამუკა გუგეშაშვილი, ლილე ლიპარტელიანი, საბა ბუაძე, ნინო წულაძე, ზაზა თავაძე, შოთა გრიგოლია

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

დავით ბოდუკია - შპს "თბილსერვის ჯგუფი" - დირექტორის მოადგილე (საერთაშორისო ურთიერთობებისა და ტექნიკურ დარგში)

არჩილ გორდულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

ვასილ აბულაძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ოთარ ჩიტინძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

№	საკითხის დასახელება
1.	"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-(032416361-03 11.06.2024)
2.	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზუმერები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით, ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე (საკრებულოს №12-032415132-03 30.05.2024)
3.	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების“ პროექტთან

	დაკავშირებით, ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე (საკრებულოს №12-032415132-03 30.05.2024)
4.	მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხადის ქ N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032416496-03-12.06.2024)
5.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03241632-03 11.06.2024)
6.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03241632-03 11.06.2024)
7.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03241632-03 11.06.2024 (დამატებითი ავტობუსის გაჩერებებისა და სპეციალურ დაცულ სადგომების მოწყობა); №12-032415131-03 30.05.2024; №12-032415859-03 06.06.2024; №12-032415876-03 06.06.2024; №12-032416472-03-12.06.2024; №12-032408772-03 27.03.2024 გადადებული „ბ“ პოზიცია; №12-032415215-03-31.05.2024 (თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არელების რუკაზე ცვლილება))
8.	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რკინიგზას ქუჩა №22-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.12.12.011.127, ფართობი - 4 953 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივლისის №345 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს №12-032415838-03 06.06.2024)
9.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა №37-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.244, ფართობი - 2545 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03241593-03 07.06.2024)
10.	ქ. თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.19.942; №81.02.19.943; №81.02.19.941; №81.02.97.505; №81.02.19.944; №81.02.19.945)

	ინდივიდუალური ერთბიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032415157-03 30.05.2024)
11.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.02.740; №81.02.02.738; №01.81.02.294.001-ის ნაწილი) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032415636-03 04.06.2024)
12.	ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, დიდ დილომში; ქალაქ თბილისში, სოფელი დიღმის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.004.039; №01.72.14.004.037; №01.72.14.094.499; №01.72.14.004.040; №01.72.14.053.413; №01.72.14.004.256) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032415223-03 31.05.2024)
13.	ქ. თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.13.589; №81.02.13.588; №81.02.13.590; №81.02.13.587; №81.02.19.647; №81.02.19.670) ინდივიდუალური ერთბიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032415222-03 31.05.2024)
14.	„ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.01.018.273; №01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის №1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032415944-03 07.06.2024)
15.	ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №234ბ; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, (ნაკვეთი 14/517) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.14.014.880; №01.72.14.014.881) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032415146-03 30.05.2024)
16.	ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.009.685; №01.72.14.234.010; №01.72.14.009.631; №01.72.14.009.634; №01.72.14.013.910; №01.72.14.234.009) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032415148-03 30.05.2024)
17.	ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.14.01.001.419; №01.14.01.001.420; №01.14.01.001.421; №01.14.01.001.505-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების

	რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03241524-03 31.05.2024)
18.	ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, (ნაკვეთი 04/007); ქალაქ თბილისში, ორბევის დასახლებაში, (ნაკვეთი 04/011) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.18.004.007; №01.19.18.004.074) ავტო მომსახურების ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032415216-03 31.05.2024)
19.	ქალაქ თბილისში, თამარაშვილის ქუჩა №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.10.16.004.272; №01.10.16.004.283; №01.10.16.004.285; №01.10.16.004.284) მრავალფუნქციური და მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03241482-03 27.05.2024)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032416361-03 11.06.2024)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 6 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) - 160,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) - 400,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) - 60,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 500,0 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 336,0 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) - 200,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) ქვეპროგრამის ასიგნებები - 80,0 ათასი ლარით, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) პროგრამის ასიგნებები - 50,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 10 36) - 200,0 ათასი ლარით. ამასთან, ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების ჩამონათვალს ემატება შემდეგი ახალი პროგრამები: თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 38) - 2 000,0 ათასი ლარით,

თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზუმერები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 39) - 1 300,0 ათასი ლარით. მცირდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 3 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) ქვეპროგრამის ასიგნებები - 160,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 400,0 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) პროგრამის ასიგნებები - 236,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 700,0 ათასი ლარით. "მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) პროგრამის ასიგნებები - 700,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 24) - 2 000,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 25) - 3 000,0 ათასი ლარით. ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამაში, კერძოდ: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 3 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4881 ერთეულით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 809 844,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 200 034,9 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 739 744,7 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 918 661,8 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 225 000,0 ათასი ლარი; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 30 000,0 ათასი ლარი; მიწაზე ქონების გადასახადი - 20 000,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი - 643 661,8 ათასი ლარი. გრანტები 508 909,9 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 465,3 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 444,6 ათასი ლარი; კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 500 000,0 ათასი ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 8 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 312 173,0 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან - 14 540,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 70 000,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 75 000,0 ათასი ლარი; სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 110 000,0 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი - 18 194,8 ათასი ლარი; სხვადასხვა შემოსავლები - 24 438,2 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 009 879,6 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 1 521 210,4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 453 630,3 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება - 35 038,9 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 218 534,3 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 383 630,3 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა - 453 630,3 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების კლება - 70 000,0 ათასი ლარი ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (200 134,9) ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების კლება - 200 134,9 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 200 034,9 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (35 038,9) ათას ლარს, მათ შორის ვალდებულებების კლება 35 038,9 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (165 096,0) ათასი ლარით.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზუმერები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით, ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე (საკრებულოს №12-032415132-03 30.05.2024)

საკითხი წარმოადგინა შპს "თბილსერვის ჯგუფი" - დირექტორის მოადგილე (საერთაშორისო ურთიერთობებისა და ტექნიკურ დარგში) დავით ბოდოკიამ. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, 68-ე მუხლი პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს შორის ქვესასესხო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 მაისის N24.917.1043 განაკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ხელი მოეწეროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის ქვესასესხო ხელშეკრულებას, წარმოდენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების“ პროექტთან დაკავშირებით, ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე (საკრებულოს №12-032415132-03 30.05.2024)

საკითხი წარმოადგინა შპს "თბილსერვის ჯგუფი" - დირექტორის მოადგილე (საერთაშორისო ურთიერთობებისა და ტექნიკურ დარგში) დავით ბოდოკიამ. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, 68-ე მუხლი პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს შორის ქვესასესხო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 მაისის N24.917.1044 განაკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა: თანხმობამიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ხელი მოეწეროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის ქვესასესხო ხელშეკრულებას, წარმოდენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032416496-03-12.06.2024)

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე არჩილ გორდულაძემ. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N 4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N 55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 12 ივნისის N24.1009.1147 განკარგულების, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 10 ივნისის სხდომის ოქმის N7-ის საფუძველზე, კომისიამ იმსჯელა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), მუხამის ქ. N 4 (ს/კ: 01.14.11.024.004) და ი. აბაშიძის ქ. N 55 (ს/კ: 01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით გაატაროს შემდეგი ღონისძიებები: გასცეს კომპენსაცია „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებულ შემდეგ პირებზე: ა.ა) სპარტაკ თეთრაშვილი (პ/ნ: 01009008450) – 120000 (ას ოცი ათასი) აშშ დოლარი; ა.ბ) ნაირა ხუციშვილი (პ/ნ: 01001005521) – 115600 (ას თხუთმეტი ათას ექვსასი) აშშ დოლარი. „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხამის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების: ბ.ა) დანართი N1-ით (თანხის სახით ვალდებულების გასტუმრების მსურველ პირთა მისამართზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036)) განსაზღვრულ პირებს დაემატოს მზია ჟორჟოლიანი (პ/ნ: 53001026300). ვალდებულების

შესრულებისათვის გადასაცემ თანხად განისაზღვროს - 25000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარი. ბ.ბ) დანართი N5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) განსაზღვრულ პირებს დაემატოს შემდეგი პირები: ბ.ბ.ა) თამარ ჩაკვეტაძე (პ/ნ: 01008031965); ბ.ბ.ბ) დავით ზაჩიაშვილი (პ/ნ: 01024017837). ამ განკარგულების „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებზე გავრცელდეს ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების მე-9 და მე-11 პუნქტები; გასცეს კომპენსაცია „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებულ პირზე - ქეთევან ალიმბარაშვილზე (პ/ნ: 01003014823) - 7 402 ევრო (შვიდი ათას ოთხას ორი) ევრო; „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებული პირის - ხათუნა გოგიჩაიშვილის (პ/ნ: 01025004716) მიერ დათმობილი უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.14.019.003.01.502) საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, ამავე განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრული იურიდიული პირის - სს „თიბისი ბანკის“ (ს/კ: 204854595) ანგარიშზე: GE15TB0000045110000180 ჩარიცხოს 58353 (ორმოცდათვრამეტი ათას სამას ორმოცდაცამეტი) აშშ დოლარი; „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებული პირის - გიორგი თევზაძის (პ/ნ: 01024053703) მიერ დათმობილი უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.14.025.039.01.01.019) საბანკო ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, ამავე განკარგულების დანართი N6-ით განსაზღვრულ იურიდიული პირის - სს „თი ბი სი“ ბანკის (ს/კ: 204854595) ანგარიშზე GE42TB0000045110000179 ჩარიცხოს 75533 (სამოცდათხუთმეტი ათას ხუთას ოცდაცამეტი) აშშ დოლარი.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03241632-03 11.06.2024)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 15 ივნისის №861.01221661 ბრძანებით, უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცა ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილ №15-ში მდებარე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.10.16.004.306 (ნაკვეთის წინა საკადასტრო კოდები: 01.10.16.004.223; 01.10.16.008.055), რომელზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ, სააგენტოს დებულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მოეწყო სატრანსპორტო საშუალებების სპეციალური დაცული სადგომი, რომლის მართვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით განეკუთვნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სპეციალური დაცული სადგომების მართვის სამსახურის უფლებამოსილებას მიეკუთვნება. ამავე დროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს ზემოაღნიშნული 2022 წლის 15 ივნისის №861.01221661 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცა გელოვანის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.10.11.001.449 და მასზე სრულდება სატრანსპორტო საშუალებების სპეციალური დაცული სადგომის მოწყობის სამუშაოები, რომლის მართვაც ასევე უნდა განხორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ. იმ მიზნით, რომ გელოვანის გამზირზე მდებარე დაცული სადგომის მართვა სააგენტოს მიერ განხორციელდეს ეფექტურად მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებით დღეს მოქმედი სპეციალური დაცული სადგომების მართვის სამსახური გაიყოს ორ სამსახურად და მათ ეწოდოთ ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილ №15-ში მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მართვის №1 სამსახური და გელოვანის გამზირზე მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მართვის №2 სამსახური. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, დებულებაში ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვით სააგენტოს ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ანგარიშვალდებულია სააგენტოს უფროსის წინაშე, ამასთან სააგენტოს უფროსს ენიჭება უფლებამოსილება დაამტკიცოს სააგენტოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებთან დაკავშირებულ ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების ინსტრუქცია და განსაზღვროს ვიდეო და აუდიო ჩანაწერების წვდომაზე, დამუშავებაზე, შენახვაზე, გაცემასა და წაშლაზე პასუხისმგებელი პირები. ამასთან განსახორციელებელი ცვლილების შესაბამისად სააგენტოს იმ სამსახურებს, რომლებიც ახორციელებენ საჯარიმო ქვითრების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენას/ გამოწერას, უფლებამოსილების ეფექტურად

შესრულების მიზნით ემატებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) მემვეობით განსახორციელებელი ქმედებების მართვის და კონტროლის ფუნქცია.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03241632-03 11.06.2024)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ. მისი თქმით, დასამტკიცებლად წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლიდან ამოიღება 3 1 პუნქტი. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შესაბამისი სამუშაოს ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების დაჩქარებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება განსაზღვროს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ სამუშაოების ჩატარების აქტუალობიდან/პრიორიტეტიდან გამომდინარე, მით უფრო, რომ ზემოაღნიშნული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მთავრობა უფლებამოსილია განკარგულებით განსაზღვროს ფიზიკური, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციების გათავისუფლება ამ წესით დაწესებული საფასურის გადახდისგან.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03241632-03 11.06.2024 (დამატებითი ავტობუსის გაჩერებებისა და სპეციალურ დაცულ სადგომების მოწყობა); №12-032415131-03 30.05.2024; №12-032415859-03 06.06.2024; №12-032415876-03 06.06.2024; №12-032416472-03-12.06.2024; №12-032408772-03 27.03.2024 გადადებული „ბ“ პოზიცია; №12-032415215-03-31.05.2024 (თბილისის შემდეგი რიგის ქალაქეგმარებითი არეალების რუკაზე ცვლილება))

კომისიამ განიხილა თბილისის მერიის წერილებით (საკრებულოს №12-03241632-03 11.06.2024 (დამატებითი ავტობუსის გაჩერებებისა და სპეციალურ დაცულ სადგომების მოწყობა); №12-032415131-03 30.05.2024; №12-032415859-03 06.06.2024; №12-032415876-03 06.06.2024; №12-032416472-03-12.06.2024; №12-032408772-03 27.03.2024 გადაღებული „ბ“ პოზიცია; №12-032415215-03-31.05.2024 (თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაზე ცვლილება)) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ. - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ვასილ აბულაძემ და ოთარ ჩიტაძემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაზე (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 17 წინადადება და რიგი ცვლილებები.

12-03241632-03 11.06.2024 (დამატებითი ავტობუსის გაჩერებებისა და სპეციალურ დაცულ სადგომების მოწყობა);

დედაქალაქის ტერიტორიაზე სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი სპეციალური ზოლების (bus lane) მომრავლებასთან ერთად, ასევე იმატებს საჭიროება, მოეწყოს დამატებითი ავტობუსის გაჩერებები, რომლებიც ახლოს იქნება როგორც საცხოვრებელ, სამუშაო, ასევე გასართობსარეკრეაციო სივრცეებთან; აღნიშნული გაამარტივებს, მოსახერხებელს და უფრო კომფორტულს გახდის საზოგადოების მონაწილეებისთვის მის გამოყენებას, რაც, ცხადია, გაზრდის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოთხოვნილებას. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც ავტობუსის გაჩერებები მორგებულია საზოგადოების მოთხოვნილებებს, რიგი გაჩერებების მოწყობის საჭიროება დგება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ ისეთ შეზღუდვის ზონებში, რომელთა არსებობაც დაბრკოლებას წარმოადგენს გაჩერებების განთავსებისთვის. მაგალითისთვის, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის მთელ მონაკვეთზე ვრცელდება განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონა, მდინარის წყალდაცვითი ზონები, მდინარის შეტბორვის არეალები, რაც გამორიცხავს აღნიშნულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის მშენებლობის განხორციელებას; ხოლო, მეორეს მხრივ, აღნიშნულ ტერიტორიაზე მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას წარმოადგენს ავტობუსის გაჩერებების არსებობა. ამასთან, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომრავლებასთან ერთად, ასევე იმატებს ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევები, რომლის დროსაც სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას. აღნიშნული კი წარმოქმნის საჭიროებას, გაიზარდოს სატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის განკუთვნილი სადგომების რაოდენობა, სადაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაყვანას დაქვემდებარებული, დარღვევით მდგომი სატრანსპორტო საშუალების განთავსება განხორციელდება და აღნიშნული ადგილი დაცული იქნება გარეშე პირების მოხვედრისაგან. გარდა ამისა, იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან დროულად და ეფექტურად მოხდეს სპეციალურ დაცულ სადგომზე სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანა და მათი უსაფრთხო განთავსება, აუცილებელია, ასეთი სადგომების არსებობა დედაქალაქის ისეთ ადგილებში,

რომლებიც მისადგომად მარტივი და მოსახერხებელი იქნება, რათა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირება იყოს მობილური. თუმცა, არსებული სამართლებრივი მოწესრიგება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ავტობუსის გაჩერებებისა და სპეციალური დაცული სადგომებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა განთავსდეს მუნიციპალიტეტისთვის ხელსაყრელ ადგილებში; აღნიშნულს განაპირობებს რამდენიმე გარემოება, მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ თავად ტერმინის, სპეციალური დაცული სადგომის, განმარტება თვითმმართველი ერთეულის ნორმატიულ აქტებში გაჩნდა მხოლოდ 2023 წელს „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში შესული ცვლილებების შედეგად და აღნიშნული სადგომების მოწყობის შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით; მართალია, ამ კუთხით გარკვეული ცვლილებები განხორციელდა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში 2024 წლის 29 მარტს შესული ცვლილებით ავტობუსის გაჩერებისთვის ან სპეციალური დაცული სადგომისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა დასაშვები გახდა ნებისმიერ ფუნქციურ ზონაში, თუმცა, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, თბილისის ტერიტორიაზე არსებული შეზღუდვის ზონები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ავტობუსის გაჩერებები და სპეციალური დაცული სადგომები განთავსდეს მუნიციპალიტეტისთვის და საზოგადოებისთვის საჭირო და ხელსაყრელ ადგილებში; აღნიშნული ცვლილება აღმოფხვრის ხარვეზს მოქმედ სამართლებრივ აქტებში და ისევე, როგორც ავტობუსის გაჩერებების განთავსება გაამარტივებს საგზაო მოძრაობის მონაწილეებისთვის მის გამოყენებას, სპეციალური დაცული სადგომების მოწყობაც გაზრდის მის ხელმისაწვდომობას.

№12-032415131-03 30.05.2024;

ა) ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის N11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.11.004.015) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. N01.10.11.004.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მასზე განთავსებული ობიექტის არსებული ფუნქციით სამშენებლო განვითარება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 21 მარტის N0124081990 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტოდ წარმოადგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, 2024 წლის 14 მარტის N01240743564 წერილით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონირება, საპროექტო ტერიტორიის ფაქტობრივი ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით. ამასთან, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტო, 2024 წლის 27 მაისის N61-01241481765 წერილით, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სააგენტო გასცემს აღნიშნულ თანხმობას იმ პირობით, რომ აუქციონზე შეძენილ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: 01.10.11.004.015) განხორციელდება სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა და აუქციონის დროისთვის ამავე უძრავ ქონებაზე სატრანსპორტო ზონა 2-ისა (ტზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნის გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებას შორის სხვაობის გადახდა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის N11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.11.004.015) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია, იმ პირობით, რომ აუქციონზე შეძენილ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: 01.10.11.004.015) განხორციელდება სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა და აუქციონის დროისთვის ამავე უძრავ ქონებაზე ფუნქციური ზონის ცვლილებით/მოხსნით განპირობებულ ფასთა შორის სხვაობის გადახდა.

ბ) ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.019.757) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. N01.11.04.019.757 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის პრივატიზება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 28 მაისის N01241491257 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.019.757) ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, კოტე მესხის აღმართისა და აღმაშენებლის ქუჩის, გადაკვეთაზე; ქალაქი თბილისი, კოტე მესხის ქუჩა, N 30-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, კოტე მესხის ქუჩა, N28; ქალაქი თბილისი, კოტე მესხის აღმართზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.019.070) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა. N01.15.05.019.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს

